გახსენება-ღვაწლმოსილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ალფრედ კურატაშვილის ხსოვნა

სამეცნიერო საზოგადოებამ მძიმე დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მეცნიერი და პედაგოგი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საერთაშორისო ჟურნალ „ეკონომიკის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი 1993 წლიდან, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ალფრედ კურატაშვილი.**

პროფესორმა ალფრედ კურატაშვილმა შინაარსიანი და ნაყოფიერი ცხოვრების გზა განვლო. იგი დაიბადა 1941 წლის 15 ნოემბერს ქ. თელავში. 1960 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის 91-ე საშუალო სკოლა, ხოლო 1966 წელს ასევე წარჩინებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი.

1973 წელს დაიცვა დისერტაცია ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის, ხოლო 1990 წელს კონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, ორივე სანკტ-პეტერბურგის ეკონომიკისა და ფინანსების უნივერსიტეტში. მას ასევე მიღებული ჰქონდა იურიდიული განათლება და იყო ფილოსოფიურ და იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი.

პროფესორი ალფრედ კურატაშვილი შრომით საქმიანობას იწყებს 1967 წელს. იგი საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მუშაობდა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საზოგადოებრივი კვების სამმართველოში, თბილისის საავიაციო ქარხანასთან არსებულ კვების კომბინატში, ცენტროსოიუზის მოსკოვის კოოპერაციულ ინსტიტუტთან არსებულ საქართველოს ფილიალში. 1972 წლიდან 1992 წლამდე მუშაობდა თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში საზოგადოებრივ მეცნირებათა კათედრაზე უფროსი მასწავლებლის, დოცენტის, პროფესორის და კათედრის გამგის თანამდებობაზე.

1992 წლიდან დღემდე იგი იყო ეკონომიკის ინსტიტუტის ეკონ-

ომიკური თეორიის განყოფილების გამგე და ამასთან მთავარი მეცნიერი თანამშრომელი. ბატონი ალფრედი იყო თბილისის ბიზნესისა და სოციალურ-ეკონომიკური მართვის უნივერსიტეტის დამაარსებელი და მისი რექტორი 1992-2010 წლებში.

2007 წლიდან 2013 წლამდე იყო თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი. 2013 წლიდან დღემდე სტუ პროფესორი.

პროფესორ ალფრედ კურატაშვილს გამოქვეყნებული აქვს 500-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, აქედან 20 მონოგრაფია ქართულ, ინგლისურ, რუსულ და უკრაინულ ენებზე სხვადასხვა ქვეყანაში. მისი კვლევის სფერო იყო ეკონომიკურ, ფილოსოფიურ, პოლიტიკურ და იურიდიულ მეცნიერებათა პრობლემები. ამ სფეროებში მას ეკუთვნის არაერთი სამეცნიერო სიახლე. მისი ნაშრომებიდან აღსანიშნავია: „ჰუმანო-სოციალური სახელმწიფოს და მისი სამართლებრივი სისტემის შექმნისა და ფუნქციონირების თეორიული საფუძვლები“, „პოლიტიკური მენეჯმენტის ფილოსოფიურ-სამართლებრივი საფუძვლები“, „ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორია“, “Проблемы научного творчества: политико-правовые и социально-экономические пути и механизмы их преодоления“ და სხვ.

იგი ეწეოდა მნიშვნელოვან საზოგადოებრივ საქმიანობას. იყო არაერთი საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი და წევრი, მრავალი საერთაშორისო ჟურნალების რედკოლეგიის წევრი, საქართველოს კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რექტორთა საბჭოს თავმჯდომარე და სხვ.

პროფესორი ალფრედ კურატაშვილი წარმატებული სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობისათვის დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით.

პროფესორი ალფრედ კურატაშვილი სიცოცხლის ბოლომდე ავლენდა უშრეტ ენერგიას და აგრძელებდა მეტად შრომატევად და ნაყოფიერ საქმიანობას. რომ არა პანდემია, იგი კიდევ დიდხანს იცოცხლებდა.

პროფესორ ალფრედ კურატაშვილის, შესანიშნავი მეცნიერის, პედაგოგისა და მოქალაქის ხსოვნა მუდამ დარჩება თანამშრომლების, მეგობრების, ახლობლებისა და მისი აღზრდილების გულში.

ჟურნალ „ეკონომიკის“ სარედაქციო კოლეგია